დამტკიცებულია

შპს გია მურღულიას უნივერსალური სკოლის
დირექტორის 2026 წლის 20 აპრილის N2-19 ბრძანებით

შპს გია მურღულიას უნივერსალური სკოლის მოსწავლის მშობლის ინფორმირების წესი

2026წელი

შპს გია მურღულიას უნივერსალური სკოლის მშობლის ინფორმირების წესი

მუხლი 1. ზოგადი ინფორმაცია.

1. წარმატებული სასწავლო პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი მშობელსა და სკოლას შორის დამყარებული კეთილგანწყობაა. იმისათვის, რომ მასწავლებელსა და მშბელს შორისა ნდობასა და ურთიერთპატივოისცემაზე დამყარებული კომუნიკაცია შედგეს პირველი გადამწყვეტი ნაბიჯი მასწავლებელმა უნდა გადადგას.
2. მასწავლებელი ის შუალედური რგოლია, რომელიც სკოლას და ოჯახს ერთმანეთთან აკავშირებს, მას შეუძლია კომუნიკაციის სხვადასხვა ხერხის გამოყენებით, მშობელი ჩართოს სასწავლო პროცესში და თავის მოკავშირედ აქციოს. მათ ერთი მიზანი აქვთ - ბავშვის წარმატება და მისი ნიჭის მაქსიმალურად გამოვლენის ხელშეწყობა. მშობლის დროული ინფორმირება წარმატებული კომუნიკაციის ერთ-ერთი წინაპირობაა.

მუხლი 2. მშობლის სკოლაში გამოცხადების წესი.

1. მშობელი სკოლაში ცხადდება დირექციის, დამრიგებლის ან მასწავლებლის მიწვევით.
2. ყოველი კვირის პარასკევი მშობლებთან შეხვედრის დღეა და მშობლებს შეუძლიათ დამრიგებელთან შეთანხმებით, ჩანიშნონ შეხვედრა სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე სასაუბროდ.
3. იმ შემთხვევაში, თუ მშობელი საჭიროდ მიიჩნევს დამატებით რომელიმე საგნის მასწავლებელთან გასაუბრებას, ამ დროს დამრიგებელი უზრუნველყოფს მათ შეხვედრას.

მუხლი 3. მოსწავლის მშობელთან კომუნიკაციის სტრატეგია

3.1.მოსწავლის შესახებ მშობელთან კომუნიკაცია და აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმირება ხდება:

- მშობელთა კრებაზე(ზოგადი მიმოხილვა მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დაცვით)
- რომელიმე ონლაინ ფორმატში;
- ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით;
- განმავითარებელი კომენტარით;
- მშობელთან ინდივიდუალური შეხვედრებით;
- ელექტრონული ფოსტითა და ტელეფონით;
- სოციალური ქსელის მეშვეობით სადაც მშობლებისათვის შექმნილია თითოეული კლასის დახურული ჯგუფი, სადაც ყოველდღიიურად თავსდება დეტალურად აღწერილი საშინაო დავალებები და მათთვის საინტერესო სხვადასხვა აქტუალური საკითხები(გარდა აკადემიური მოსწრებისა).

3.2. საგნის მასწავლებელთან ინდივიდუალურ შეხვედრებზე მასწავლებელი მშობელთან პირადი ურთიერთობის დროს, უფლებამოსილია მშობელს გააცნოს შვილის აკადემიური მოსწრება მხოლოდ იმ სასწავლო საგანში, რომელსაც ასწავლის.
3.3. მოსწავლის აკადემიური მოსწრების, პირადი ურთიერთობების, დისციპლინის შესახებ ინფორმაცია კონფიდენციალურია და მისი განხილვა საჯაროდ დაუშვებელია, მოსწავლის პირად ინფორმაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე დამრიგებელი ან დირექციის წევრი ინდივიდუალურად ხვდება მშობელს.

მუხლი 4. მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან ურთიერთობის ფორმა და პრინციპები

4.1. სკოლის საქმიანობისა და სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის შესახებ ინფორმაცია მშობელს მიეწოდება მშობელთა კრებებზე კლასის დამრიგებლის მეშვეობით; აგრეთვე კლასიდან არჩეული მშობელთა კომიტეტის წევრის მიერ;

4.2. თითოეულ კლასში მშობელთა სავალდებულო კრება ტარდება სასწავლო წლის დასაწყისში და ყოველი სემესტრის ბოლოს(კრებების სიხშირე განისაზღვრება საჭიროებისამებრ)

4.3. მშობელთა კრებისათვის ყველა დამრიგებელი ამზადებს ინდივიდუალურ დღის წესრიგს, რომელიც სკოლის დირექციასთან უნდა შეათანხმოს. ასევე გააფორმოს შეხვედრის ოქმი.

4.4. საგნის მასწავლებელს დირექციასთან ან კლასის დამრიგებელთან შეთანხმებით, უფლება აქვს გამოიძახოს მშობელი.

4.5. მშობელთან ურთიერთობის ფორმას თვით პედაგოგი და დამრიგებელი ირჩევს სიტუაციის შესაბამისად;

4.6. მშბელთან ურთიერთობა (მიმოწერისას ან საუბრისას) მოსწავლის დადებითი მხარეების წარმოცენით უნდა იწყებოდეს, შემდეგ სხვადასხვა სახის პრობლემის განხილვა მოჰყვეს;

4.7. მშბლებისათვის ინფორმაციის მიწოდების დროს დაუშვებელია მოსწავლის პიროვნული ღირსების შელახვა,უხეშობა.

4.8. შეფასება უნდა იყოს ობიექტური, მრავალმხრივი და აუცილებვლად პოზიტიურიდან პრობლემისკენ მიმართული.

4.9. სასწავლო წლის დასწყისშივე უნდა მოხდეს მოსწავლისა და მშბელთა ინფორმირება მოსწავლის მიერ გაკვეთილის გაცდენის შემთხვევაში მ ოსალოდნმელი სავარაუდო შედეგების შესახებ;
4.10. მშობელი ჩართული უნდა იყოს სასკოლო ცხოვრებაში. თითოეულ მშობელს შესაძლებლობა აქვს, თავისი სურვილისამებრ მონაწილეობა მიიღოს სკოლის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებსა თუ აქტივობებში.

მუხლი 5. საგანმანათლებლო/საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები

5.1 სკოლა ვალდებულია სასწავლო წლის განმავლობაში სულ მცირე ერთხელ აწარმოოს მოსწავლის კანონიერ წარმომადგენლებთან საგანმანათლებლოსაინფრომაციო ხასიათის ღონისძიებები ისეთ საკითხებზე როგორიცაა:

- მშობლის როლი ბავშვის განათლებასა და აღზრდაში;
- შვილთან ეფექტური კომუნიკაცია;
- ძალადობა(მათ შორის ნაადრევი ქორწინება და მისი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე)
- ოჯახში ძალადობა და მისი გავლენა ბავშის ფსიქოლოგიაზე;
- ბულინგი,კიბერბულინგი და მათღი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე;
- ჯანსაღი ცხოვრების წესი;
- პერსონალური მონაცემების დაცვა;
- სხვა საკითხები, რომლებიც უზრუნველყოფს კანონიერი წარმოადგენლის ჩართულობის ამაღლებას მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში;

5.2. დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში იწვევს მშობელთა კრებას და აცნობს სკოლის შინაგანაწესის შესაბამის ნაწილებს, აფორმებს ხელშეკრულებას სახელმძღვანელოების გადაცემასთან დაკავშირებით, სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილებს, აწვდის ინფორმაციას შსს-ს სსიპ-112“-ს ცხელი ხაზის, მანდატურის სამსახურის ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრის,საქართველოს სახალხო დამცველის მანდატურის სამსახურის მონიტორინგის სამმართველოს ცხელი ხაზის ნომრებს.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები.

1) წინამდებარე დოკუმენტს ამტკიცებს სკოლის დირექტორი ბრძანებით;

2) დოკუმენტში ცვლილებებისა ან/და დამატებების შეტანა ხორციელდება საჭიროებისამებრ ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესით.